პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 288 (12800) | ხუთშაბათი, 12 დეკემბერი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვი. 9 დეკემბერს კრემლში მუშაობა დაიწყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგმა პლენუმმა. სურათზე: სხდომის დროს.

ფოტო ვ. ეგოროვისა და ა. სტუკენისა. (საკადესის ფოტოქრონიკა).

სინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

10 დეკემბრის საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: მ. ტ. ეფრემოვი (სკკპ გორკის სამრეწველო საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი), ვ. ნ. მიხაილოვი (კალინინის კამვოლის კომბინატის დირექტორი), ვ. ვ. გრიშინი (საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე), ი. იუსუპოვი (ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი), კ. პ. ნიკოლაევი (სკკპ სვერდლოვსკის სამრეწველო საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი).

1963 წლის 11 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გრძელდებოდა განხილვა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა: „ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარება სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი პირობაა“.

დილის სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: მ. ვ. კელდიში (სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი), შ. ა. ტაბეევი (სკკპ თათრეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი), დ. თ. უსტინოვი (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე), ვ. ი. ახუნდოვი (აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი), ი. პ. ვოლოვჩენკო (სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი), ზ. ნ. ნურიევი (სკკპ ბაშკირეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი), ვ. ვ. შევჩენკო (უკრაინის კომპარტიის ლუგანსკის სამრეწველო საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი), კ. ი. ბალანშინი (სკკპ პერმის სამრეწველო საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი), ი. ა. კურაკურინი (საკადესის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსი, ხერსონის ოლქი).

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: ი. ი. ბოდიული (მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი), ბ. მ. ორლოვი (სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდის, ხისდასამუშავებელი მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე), ი. ტ. ნოვიკოვი (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახმშენის თავმჯდომარე), ს. პ. პავლოვი (სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი), ვ. ა. კარგინი (მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, აკადემიკოსი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი განაგრძობს მუშაობას.

ჩეხოსლოვაკიის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ეწვია ნ. ს. ხრუშჩოვს

საბჭოთა კავშირში ჩამოსული ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. გენდრიხი, 10 დეკემბერს ეწვია კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და დელეგაციის წევრებს შორის გაიმართა გულითადი საუბარი.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნ. პ. ფირიუბინმა. (საკადესი).

ჩეხოსლოვაკიის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

11 დეკემბერს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მთავრობამ კრემლის დიდ სასახლეში გამართეს საპატივცემულო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

ტოასტებზე იყვნენ დელეგაციის მეთაური ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. გენდრიხი, ალრეთვე დელეგაციის წევრები, ჩეხოსლოვაკიის მოსკოვის საელჩოს დიპლომატიური წარმომადგენლები.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და სხვა საბჭოთა ხელმძღვანელები.

საუბრის დროს ნ. ს. ხრუშჩოვმა და ი. გენდრიხმა წარმოთქვეს მეგობრული სადღეგრძელოები.

საუზმემ გულითად, ძმურ ვითარებაში ჩაიარა. (საკადესი).

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ჩეხოსლოვაკიაში

მოსკოვი, 10 დეკემბერი. (საკადესი). დღეს მოსკოვიდან ჩეხოსლოვაკიაში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომპარტიისა და მთავრობის დელეგაცია **სკკპ** ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით. დელეგაცია მოწვეულია მიიღებს სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების დადების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში.

ბუდაპეშტი, აეროდრომზე **საბჭოთა** კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას გაეცალეს: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ნ. კოსიგინმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. პ. კირილენკომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა. გამცილებელთა შორის იყო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ო. პავლოვსკი.

პრაღა, 10 დეკემბერი. (საკადესი). საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების დადების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობისათვის პრაღაში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ,ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ანტონინ ნოვოტნი, მთავრობის თავმჯდომარე იოზეფ ლენარტი და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები.

ლ. ი. ბრეჟნევი ეწვია ანტონინ ნოვოტნის

პრაღა, 11 დეკემბერი. (საკადესი). საბჭოთა კავშირის და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, რესპუბლიკის პრეზიდენტს ანტონინ ნოვოტნის.

ლ. ი. ბრეჟნევმა ჩეხოსლოვაკიელ ხალხსა და მის კომუნისტურ პარტიას გადასცა საბჭოთა ხალხის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პირადად ნ. ს. ხრუშჩოვის მხურვალე მისალმებანი.

საუბარში, რომელმაც განსაკუთრებით მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, მონაწილეობა მიიღეს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა.

შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანტონინ ნოვოტნიმ ერთმანეთს გაუცვალეს სარატიფიკაციო სიგელები ომისა სსრ კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების 20 წლით გაგრძელების შესახებ.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ა. ნოვოტნიმ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამ ხელშეკრულების გაგრძელება ახალი ეტაპია ორი ხალხის ძმური ურთიერთობის განვითარებაში და ხელს შეუწყობს სოციალიზმის, კომუნიზმის საქმეს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

10 დეკემბერს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობას განაგრძობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. დაიწყო განხილვა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა „ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარება სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი პირობაა“.

დილის სხდომაზე პირველი გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ი. ვორონოვი**. ეს პლენუმი, — თქვა მან, — განიხილავს საბჭოთა ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ძირეულ საკითხებს. საქმე ეხება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის უნიშვნელოვანეს რგოლს — ქიმიური ინდუსტრიის დაჩქარებულ განვითარებას, მის წამყვან როლს სოფლის მეურნეობის აღმავლობასა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

პლენუმის მუშაობას უდიდესი ყურადღებით ადევნებს თვალს მთელი ხალხი. საბჭოთა ადამიანები უკანასკნელი ათწლეულის — ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ჭეშმარიტად დიადი აღორძინების გამოცდილებით განსაკუთრებით ნათლად დარწმუნდნენ, რომ პარტიის კოლექტიური გონება და ენერგია კომუნიზმისაკენ ჩვენი წინსვლის მძლავრი წყაროა. პარტია და მისი შტაბი — ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი მეთაურობს, ლენინურად ბრძნულად და შორსმჭვრეტელურად, რევოლუციური გაქანებითა და გამბედაობით წყვეტენ მომწიფებულ საარსებო პრობლემებს. ახლანდელი პლენუმი განსაკუთრებულ როლს შეასრულებს ჩვენს ბრძოლაში პარტიის პროგრამის შესრულებისათვის, უდიდეს ზემოქმედებას მოახდენს კომუნისტური მშენებლობის მთელ მსვლელობაზე.

სიერთო სახალხო ბრძოლაში დამკვრელურ ქიმიურ ფრონტზე დიდი ადგილი ეკუთვნის რუსეთის ფედერაციას, განაცხადა ამბ. ვორონოვმა. შვიდწლედის პირველ ხუთ წელიწადში კაპიტალური დაბანდება რუსეთის სფსრ ქიმიურ მრეწველობაში შეადგენს 3,5 მილიარდ მანეთს. ეს 3,3-ჯერ მეტია, ვიდრე ათვისებული იყო წინა ხუთ წელიწადში. მოკლე ვადაში აშენდა და მწყობრში ჩადგა 24 ახალი დიდი საწარმო და დაახლოებით 200 ახალი ცალკეული საწარმოო კომპლექსი. მნიშვნელოვნად გაფართოდა და რეკონსტრუირებულია მოქმედი საწარმოები. ამის შედეგად სინთეზური ფისებისა და პლასტმასების წარმოება 1959-1963 წლებში 2,1-ჯერ გაიზარდა, სინთეზური კაუჩუკისა — 1,5-ჯერ, ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოებისა — 1,8-ჯერ, ამიაკისა — 2,7-ჯერ, გოგირდმჟავისა — 1,3-ჯერ, მინერალური სასუქებისა — 1,6-ჯერ. გაზრდდა ალრეთვე მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების წარმოება. ქიმიის განვითარება უწინარეს ყოვლისა დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის აღმავლობის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ამოცანებთან.

კმაყოფილებით აღვნიშნავთ რა სასოფლო-სამეურნეო წარმოების თანამმდევრულ ზრდას, ამბობს შემდეგ გ. ი. ვორონოვი, ჩვენ ამასთანავე ნათლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ კომუნისტური მშენებლობის ახლანდელ ეტაპზე ეს ზრდა არ შეიძლება საკმარისად მივიჩნიოთ. სოფლის მეურნეობა ფეხდაფეხ უნდა მისდევდეს მრეწველობას. არ შეიძლება აქ იყოს რაიმე დისპროპორცია. მაშასადამე, ისმება საკითხი, რომ საჭიროა მოვიყვანოთ გარანტირებული მოსავალი, მკვეთრად გავადიდოთ პროდუქციის წარმოება თითოეულ ჰექტარზე, ესე იგი ისმება სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის საკითხი.

აქამდე არ შეიძლებოდა ასეთი ამოცანის დასახვა — ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობანი მის გადასაწყვეტად. სწორედ ის არის ჩვენი პარტიის სიბრძნე, მისი ძალა, რომ იგი თავის პოლიტიკას აგებს მტკიცე მეცნიერულ საფუძველზე, საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ შესაძლებლობათა და მოთხოვნილებათა ყოველმხრივი გათვალისწინების საფუძველზე.

რა ცვლილებანი გვაძლევენ საშუალებას, რომ ახლა თვისებრივად ახალ ეტაპზე გადასვლა სოფლის მეურნეობის განვითარებაში პრაქტიკულ ამოცანად მივიჩნიოთ?

უწინარეს ყოვლისა, ამბობს ამბ. ვორონოვი, ჩვენ მომზადებული ვართ ასეთი გადასვლისათვის ეკონომიურად. საბჭოთა ინდუსტრიის მძლავრი ზრდა საშუალებას გვაძლევს მივცეთ სოფლის მეურნეობას ტექნიკური და ქიმიური საშუალებანი, ურომლისოდაც შეუძლებელია მისი წარმოება ინტენსიური საფუძველზე. და, მეორე, ჩვენ ახლა მომზადებული ვართ ამ გადასვლისათვის ორგანიზაციულად. უკანასკნელ წლებში პარტიამ დიდი მუშაობა გასწია სოფლად წვრილ მეურნეობათა გაერთიანებისათვის, წარმოების სპეციალიზაციისათვის, კადრების სწავლებისათვის, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული მეთოდების დანერგვისათვის. გარდაიქმნა სოფლის მეურნეობის მართვა და პარტიული ხელმძღვანელობა.

ორატორი შეეხო დიდ წილილს ხალხისათვის სურსათის სიუხვის შექმნაში, რაც რუსეთის ფედერაციის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა უნდა შეიტანონ, და განაცხადა, რომ დასახულია მარცვლის მთლიანი მოსავალი რუსეთის ფედერაციაში 1970 წელს გადიდდეს 8,6 მილიარდ ფუთამდე 5,4 მილიარდ ფუთთან შედარებით, რაც მიღებულია 1962 წელს. მკვეთრად გადიდდება ხორცის, რძის, კვერცხის მოყიდვა სახელმწიფოსათვის. კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილისა და სხვა პროდუქტების წარმოება და დამზადება.

ამბ. ვორონოვი შემდეგ შეეხო მინერალური სასუქების წარმოების გადიდებისა და მათი ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს. მარცვლისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, მთლიანი მოსავლის დასახული ზრდა რუსეთის სფს რესპუბლიკაში მოითხოვს 1970 წელს დაახლოებით 44 მილიონ ტონა სტანდარტულ მინერალურ სასუქს, 5,8 მილიონ ტონასთან შედარებით, რაც მიიღო რესპუბლიკამ 1963 წელს. ამას გარდა, სარეველათა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო იქნება 206 ათასი ტონა ჰერბიციდები და 618 ათასი ტონა შხამქიმიკატები.

რა გზით დაკმაყოფილდება სოფლის მეურნეობის ეს საჭიროებანი? პირველი მთავარი მიმართულებაა ახალ საწარმოთა, აგრეთვე მოქმედ ქარხნებში საამქროთა და ცალკეულ წარმოებათა დაჩქარებული მშენებლობა, ამბობს გ. ი. ვორონოვი. შვიდწლედის დარჩენილ ორ წელიწადში ფედერაციის ქიმიური მრეწველობის ძირითადი ფონდები თითქმის 2,4 მილიარდი მანეთით გადიდდება, რაც მიმდინარე წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით შეადგენს ამ დარგის მთელი ფონდების დაახლოებით ნახევარს. მწყობრში ჩადგება ახალი სიმძლავრეები 8,8 მილიონი ტონა მინერალური სასუქების წარმოებისათვის. ეს გაცილებით მეტია, ვიდრე შვიდწლედის პირველ ხუთ წელიწადში. უნდა აშენდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს კარბამიდის წარმოების ობიექტები, რომელთა საერთო სიმძლავრე იქნება 1 მილიონი ტონა წელიწადში, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულ სიმძლავრეებს. სასუქების, ჰერბიციდებისა და შხამქიმიკატების გამოშვების გადიდების მეორე წყაროა ახალ წარმოებათა რაც შეიძლება მალე ათვისება. მინერალური სასუქებით სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში მესამე მიმართულებაა მათი ხარისხის გაუმჯობესება, უფრო ეფექტიანი ქიმიური პროდუქტების წარმოების ათვისება. მეოთხე, სასუქთა წარმოების გადიდების რეზერვებია ქიმიური მრეწველობის ტექნიკის უფრო ეფექტიანი გამოყენება.

გ. ი. ვორონოვმა აღნიშნა, რომ საჭიროა შეეთმუშაოთ ერთიანი მწყობრი სისტემა მინერალური სასუქების ტრანსპორტირებისა ქარხნიდან კოლმეურნეობამდე ან საბჭოთა მეურნეობამდე. იგი ლაპარაკობს აგროქიმიური სამსახურის ორგანიზაციაზე თავიდან ბოლომდე. ორატორს მიაჩნია, რომ მხარდაჭერასა და ფართო გავრცელებას საჭიროებს სტაგროპოლელთა თაოსნობა, რომელთა მოწოდებაა: „ქიმიის ცოდნა — სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს“.

თავისი სიტყვის დასკვნითი ნაწილი ორატორმა მიუძღვნა სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადასამუშავებელი მრეწველობის განვითარების საკითხებს.

სიტყვა ეძლევა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს **პ. ე. შელესტს.**

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მოხსენებაში, ამბობს ორატორი, ყოველმხრივ გაანალიზებულია წარმატებანი, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა განვლილ ათწლეულში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დასახულია ქიმიური მრეწველობის განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ქიმიზაციის ფართო პროგრამა. ამ პროგრამის განხორციელება დაიჩქარებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას და უზრუნველყოფს საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდ წარმატებებს მიაღწიეს უკრაინის მშრომელებმა. განვლილ ხუთ წელიწადში მთლიანი პროდუქციის საერთო მოცულობა ჩვენს რესპუბლიკაში 1,6-ჯერ გაიზარდა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 5,2 მილიარდი მანეთის პროდუქცია. შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გადიდდა 31 პროცენტით, მშენებლობაში — 34 პროცენტით, ფოლადის, ნაგლინის წარმოებითა და ბუნებრივი გაზის მოპოვებით რესპუბლიკამ უკვე მიაღწია შვიდწლედის უკანასკნელი წლის დონეს. სახელმწიფოსათვის პურის საშუალო წლიურმა მოყიდვამ შეადგინა 567 მილიონი ფუთი, ესე იგი წინა ხუთწლედთან შედარებით 108 მილიონი ფუთით გადიდდა. გაიზარდა ხორცის, რძის გაყიდვა. ამინდის რთული პირობების მიუხედავად, ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ წელსაც კარგი მოსავალი მოიყვანა. სახელმწიფოს მიეყიდა თითქმის 600 მილიონი ფუთი მარცვალი. მოულოდნელად მოვიმარაგეთ თესლი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის (1958 წელი) პლენუმის შემდეგ უკრაინაში მნიშვნელოვანი მუშაობა შესრულდა ქიმიურ საწარმოთა მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და გაფართოებისათვის. აშენდა როზოლოს სამთოქიმიური კომბინატი, დნეპროპეტროვსკის სალტეების ქარხანა, ჩერკასისა და ჩერნიგოვის სინთეზური ბოჭკოს ქარხნები და ბევრი სხვა. შვიდწლედში ქიმიური მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა 2,2-ჯერ გადიდდება. მიმდინარე წლის 11 თვეში გამოშვებულია ერთიორად და უფრო მეტი ქიმიური პროდუქცია, ვიდრე მთელ 1958 წელს, გადაჭარბებით შესრულდა მინერალური სასუქების, ქიმიური ბოჭკოს, გოგირდმჟავასა და სხვა პროდუქციის წარმოების გეგმები.

როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმისათვის ემზადებოდნენ, უკრაინის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა წარმოების სპეციალისტებთან და მოწინავეებთან ერთად ყოველმხრივ შეისწავლეს რესპუბლიკაში ქიმიის შემდგომი განვითარების საკითხები. მინერალური სასუქების წარმოების საერთო სიმძლავრეები მიმდინარე წლის 5,4 მილიონი ტონიდან გადიდდება 26 მილიონ ტონამდე 1970 წელს. საჭიროა მკვეთრად გაიზარდოს გოგირდის, გოგირდმჟავას, სინთეზური ფისებისა და პლასტმასების წარმოება.

ქიმიის დაჩქარებული განვითარება პირდაპირ დამოკიდებულია მანქანათმშენებლების მუშაობაზე, ამბობს პ. ე. შელესტი. ახლა უკრაინა იძლევა ქიმიური მრეწველობის მოწყობილობის საერთო საკავშირო წარმოების თითქმის მესამედს. ამიტომ უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ყველა პარტიული ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ქიმიური მანქანათმშენებელი ქარხნების მუშაობას, მანქანებისა და მექანიზმების შემდგომი სრულყოფის, საწარმოთა სპეციალიზაციის საკითხებს, საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენებას, ინჟინერ-ტექნიკური სამსახურების გაძლიერებას. მიღებულმა ღონისძიებებმა უკვე მოგვცეს შესაძლებლობა უკანასკნელ ხუთ წელიწადში 2,3-ჯერ გაგვიდიდებინა ქიმიური მოწყობილობის გამოშვება და შეგვექმნა 260 ახალი ტიპის მანქანა.

ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში, განაგრძობს ორატორი, დამაჯერებლად არის

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ნ. ს. ხრუშჩოვი მიესალმება კენიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა კენიის პრემიერ-მინისტრს ჯომო კენიატას გაუგზავნა წერილი, რომელშიც ულოცავს კენიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

საბჭოთა ადამიანები, ნათქვამია წერილში, მუდამ სოლიდარობის გრძნობით ეკიდებოდნენ კენიის ხალხის გმირულ ბრძოლას ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის და გულწრფელად მოხარული არიან, რომ კენიელები ადგებიან დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი განვითარების გზას.

საბჭოთა მთავრობა საჯაროდ აცხადებს, რომ ცნობს კენიას, როგორც დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოს და მზად არის დაამყაროს მასთან დიპლომატიური ურთიერთობა და გაცვალოს დიპლომატიური წარმომადგენლობანი საელჩოთა დონეზე. (საკადესი).

რუსთაველი მეტალურგები და ქიმიკოსები, საქართველოს ყველა მშრომელთან ერთად უდიდეს ინტერესს იჩენენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალებისადმი. ამ სურათზე თქვენ ხედავთ რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მუშებს, რომლებიც ეცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ გაკეთებულ მოხსენებას „ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარება სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი პირობაა“.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედოევი სოფრონ ნიკოლოზის-ძე, „ცხინვალვაჭრობის“ მუშა, დაჯილდოვდეს მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

ქ. თბილისი, 1963 წლის 29 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ბაგალიშვილი ტელმანი შაქირის-ძე, ბათუმის გემთსაშენი ქარხნის ყოფილი შემდუღებელი, დაჯილდოვდეს სიკეთილშემდგომ მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

ქ. თბილისი, 1963 წლის 29 ნოემბერი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

(დასასრული)

ნაჩვენები, რომ მექანიზაციასთან ერთად ქიმიის დანერგვა მოასწავებს რეგოლუციას სოფლის მეურნეობაში, სახავს შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის გზას. უკვე 1970 წელს ჩვენ ნიადაგში შევიტანთ 18-20 მილიონ ტონა მინერალურ სასუქს, ანუ 5,8 ცენტნერს ერთ ჰექტარ სახნავზე. ეს შესაძლებლობას მოგვცემს დამატებით მივიღოთ დიდძალი მარცალი, შაქრის ჭარხალი, კარტოფილი, ბოსტნეული, სხვადასხვა საკვები კულტურა.

რა წვლილს შეიტანს უკრაინა იმ საერთო სახალხო ამოცანის გადაჭრაში, რომ 1970 წელს მოკიყანოთ ჩვენს ქვეყანაში 14-16 მილიარდი ფუთი მარცალი? ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს წვლილი იქნება სულ ცოტა 3,3 მილიარდი ფუთი, ეს 1,7 მილიარდი ფუთით მეტია, ვიდრე მიღებულია საშუალოდ 1958-1962 წლებში.

მარცვლის მთლიანი მოსავლის გადიდება უწინარეს ყოვლისა მოხდება საშემოდგომო ხორბლის ხარჯზე, რომლის წარმოება 1,9 მილიარდ ფუთს მიაღწევს, როცა მოსავლიანობა იქნება 32,5 ცენტნერი ჰექტარზე. მარცელეულის საშუალო მოსავლიანობა კი შეადგენს 30-31 ცენტნერს ჰექტარზე. ამასთან რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები შეძლებენ 1970 წელს სახელმწიფოს მიჰყიდონ მილიარდნახევარი ფუთი მარცვალი, 50 მილიონი ტონა შაქრის ჭარხალი, რაც შესაძლებლობას მოგვცემს გამოვუშვათ 7 მილიონი ტონა შაქარი, ზეთოვანი კულტურების თესლი — 1,7 მილიონი ტონა. ამავე დროს მკვეთრად გადიდდება ხორცისა და რძის წარმოება.

უკრაინის პარტიული ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მინერალური სასუქების რაციონალურ გამოყენებას. ამისათვის საჭიროა კარგად ვიცოდეთ აგროტექნიკა და ნიადაგის თვისებები. რესპუბლიკაში უკვე დამთავრებულია ნიადაგის მთლიანი გამოკვლევა და თითოეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას მიეცათ ნიადაგის რუკები. შექმნილია კურსების ქსელი, სადაც სპეციალისტები, საწარმოო სამმართველოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი მუშაკები, მექანიზატორები, მეგოლურები, ბრიგადირები, კოლმეურნეები შეისწავლიან მინერალური სასუქებისა და ზსამქიმიკატების გამოყენების მოწინავე მეთოდებს.

მარცვლეული კულტურების გარანტირებული მოსავლის მიღებისათვის, თქვა შემდეგ ამხ. შელესტმა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სარწყავი მიწათმოქმედების განვითარებას. 1970 წლის ბოლოსათვის გათვალისწინებულია გვქონდეს 1,3 მილიონი ჰექტარი ასეთი მიწები. ისინი ყოველწლიურად მოგვცემენ 220 მილიონ ფუთ მარცვალს, აქედან 30 მილიონ ფუთ ბრინჯს.

ნება მიბოძეთ აღუთქვა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს, პირადად ამხანაგ ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვს, რომ უკრაინის რესპუბლიკა ღირსეულ წვლილს შეიტანს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ღრმა შინაარსიან მოხსენებაში ამ პლენუმზე, თქვა პარტიის კრასნოდარის სასოფლო სამხარეო კომიტეტის პირველმა მდივანმა **გ. ი. ვორობიოვმა,** ყოველმხრივ მოცემული და დასაბუთებულია ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული, განვითარების პროგრამა. სოფლის მეურნეობის მშრომელები მიიღებენ მძლავრ საშუალებას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მკვეთრი გადიდებისათვის.

მინერალური სასუქების დიდ ეფექტიანობაში შეიძლება დავრწმუნდეთ ჩვენი ხმარის ბევრი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მაგალითით. წელს პირველად უსტ-ლაბინსკის საწარმოო სამმართველოს მეურნეობებმა ოდენ ფართობებზე შეიტანეს 2-5 ცენტნერი მინერალური სასუქი ერთ ჰექტარ მარცვლეულ კულტურებში, ამან საშუალება მოგვცა 80-ათას ჰექტარ ფართობის თითოეულ ჰექტარზე მივეღო 38,9 ცენტნერი ხორბლის მოსავალი. მოსავლის მატებამ შარშანდელთან „შედარებით შეადგინა ჰექტარზე 8,8 ცენტნერი.

წელს მხარეში ნათესის მთელ ფართობზე თავთავიანი მარცვლეულის საშუალო მოსავალმა ჰექტარზე შეადგინა 26,4 ცენტნერი, აქედან ხორბალმა — 27,6 ცენტნერი, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 202 მილიონი ფუთი პური — 52 მილიონით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

თუ მხარის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჰექტარზე შეიტანენ 5-6 ცენტნერ მინერალურ სასუქს, დაწერგავენ ახალ მოსავლიან ჯიშებს და აამაღლებენ აგროტექნიკის დონეს, უახლოეს წლებში მოიყვანენ ჰექტარზე 45-50 ცენტნერ მარცვლეული კულტურების მოსავალს.

ორატორი ამბობს, რომ ჰექტარზე 6-8 ცენტნერი სასუქის შეტანის დროს მხარის ზოგიერთი მეურნეობა მიიღებს ჰექტარზე შაქრის ჭარხლის 80-100 ცენტნერით მეტ მოსავალს. ახლა დგას ამოცანა საშუალოდ მხარეში მივიღოთ 260-350 ცენტნერი შაქრის ჭარხალი ჰექტარზე და მივუიდოთ ქარხნებს 6,5-7 მილიონი ტონა. ეს შესაძლებლობას მოგვცემს ორჯერ მეტი შაქარი გამოვიმუშაოთ, ვიდრე მიმდინარე წლის ჭარხლის მოსავლიდან.

ახლა სოფლის მეურნეობის მუშაკების წინაშე მწვავედ დგას საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ გამოვიყენოთ უკეთ და უფრო ეფექტიანად მინერალური სასუქები. მარტო ნიადაგის ანალიზები ვერ უპასუხებენ ისეთ დიდმნიშვნელოვან კითხვებზე, როგორიც არის სასუქის შეტანის დრო, დოზა და წესები, რომლებიც უზრუნველყოფენ თითოეული კულტურის მოსავლის უდიდეს მატებას. ამიტომ საჭიროა ფართო და კვალიფიციურად დავაყენოთ სრულიად სხვადასხვაგვარ პირობებში მინდვრის საწარმოო ცდები, რომლებიც გამოავლენენ მინერალური სასუქების გამოყენების უფრო მიზანშეწონილ, უკეთეს ხერხებს.

შემდეგ ამხ. ვორობიოვი შეეხო საირიგაციო მშენებლობას, სარწყავი მიწების გამოყენების გაუმჯობესების საკითხებს. ახლა კრასნოდარის მხარე რუსეთის ფედერაციაში ბრინჯის თესვის ძირითადი და ყველაზე პერსპექტიული რაიონია. წელს ბრინჯის ნათესებს ეკავთ 41 ათასი ჰექტარი და საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 35 ცენტნერი. ეს მცირე მოსავალია და ვერ დაგვაკმაყოფილებს.

წლევანდელმდე ბრინჯის ნათესებში თითქმის არ შეაქონდათ სასუქები. მაგრამ სწორედ აქ ისინი იძლევიან ყველაზე დიდ ეფექტს. ყუბანის ბრინჯის სადგურის მონაცემებით, ჰექტარზე 3 ცენტნერი აზოტოვანი და 2,5 ცენტნერი ფოსფორიანი სასუქის შეტანა იძლევა 15-15 ცენტნერ ბრინჯის მატებას ჰექტარზე. 1970 წლისათვის თუ ყუბანი 100-120-ათას ჰექტარამდე გააფართოებს ბრინჯის ნათესებს, სახელმწიფოს მიჰყიდის 30-40 მილიონ ფუთ ამ ძვირფას საბურღულ კულტურას.

მომდინარე წლის სექტემბერში ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვია ტიმაშევსკის საწარმოო სამმართველოს საბჭოთა მეურნეობა „ყუბანელს“, მაღალი შეფასება მისცა ამ კოლექტივის მუშაობას სარწყავი მიწათმოქმედების ორგანიზაციაში. აქ ჰექტარზე მოიყვანეს 70 ცენტნერი სიმინდის მარცვალი და 500 ცენტნერი მწვანე მასა. ნ. ს. ხრუშჩოვის რჩევით ჩვენ გადავწყვიტეთ გამოვიყენოთ საბჭოთა მეურნეობა „ყუბანელის“ გამოცდილება და შევიმენთ სარწყავი ნაკვეთები თითოეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში.

დასასრულ ამხ. ვორობიოვმა განაცხადა, რომ კრასნოდარის მხარის კომუნისტები, ყველა მშრომელი პირნათლად შეასრულებენ მათ წინაშე დასახულ ამოცანას სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდების საქმეში.

სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ნ. გ. ეგორიჩევმა** აღნიშნა, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველგან უდიდესი შემოქმედებითი მუშაობა წარმოებს XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

მოსკოვის საქალაქო კომიტეტი მოხარულია მოახსენოს პლენუმს, განაცხადა ორატორმა, რომ მოსკოველები ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს და ახალ შრომითს გამარჯვებებს მიაღწიეს. გადმდე. ორი წლით ადრე დედაქალაქის მრეწველობაში მიღწეულია შრომის ნაყოფიერებისა და მთლიანი პროდუქციის გამოშვების დონე, რაც შვიდწლედის ბოლოსათვის იყო დაგეგმილი.

ამ პლენუმს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, განაგრძობს ამხ. ეგორიჩევი. ნ. ს. ხრუშჩოვის ღრმა და მკაფიო მოხსენებაში დამაჯერებლად არის ნაჩვენები, რომ ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარება სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი პირობაა. ეჭვი არ არის, რომ დასახული პროგრამას შეასრულებენ საბჭოთა ადამიანები. პარტიის გეგმები ხომ ხალხის გეგმებია. და ყველმ იცის: ყველაფერს, რასაც პარტია აკეთებს, აკეთებს ადამიანისათვის, ადამიანის საკეთილდღეოდ.

ამხ. ეგორიჩევმა თქვა, რომ პარტიისა და მთავრობის მუდმივი ზრუნვის შედეგად დედაქალაქში 1954 წლიდან აშენდა 22 მილიონი კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი, ანუ თითქმის 670 ათასი ბინა. ახალი ბინები მიღო დაახლოებით 3 მილიონ 300 ათასმა კაცმა.

ამხ. ეგორიჩევი ამბობს, რომ სიძნელენი, რომლებიც არის სოფლად მოუსავლიანი წლის შედეგად, ქალაქების და სამრეწველო ოლქების პარტიულ ორგანიზაციებს ავალებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოფლის მეურნეობის შეკვეთების შესრულებას, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი დახმარების აღმოჩენის გეგმების გადასინჯვას. მოვიყვანოთ 1964 წელს ჩნებული მოსავალი — ჩვენი საერთო ამოცანაა, რომლის დიდი მნიშვნელობა ძნელია გადაჭარბებით შეეფასოთ, ხაზი გაუსვა ორატორმა. იგი აღნიშნავს, რომ მოსკოვში შრომის ჩვენი ქვეყნის ყველა მეცნიერი ქიმიკოსის თითქმის ნახევარი, აქ მდებარეობს უდიდესი საპროექტო ორგანიზაციები. მოსკოვის ინსტიტუტების მეცნიერთა კოლექტივებმა შექმნეს მთელი რიგი პრინციპულად ახალი ქიმიური პროცესები და მასალები, ამუშავებენ დიდ თეორიულ პრობლემებს. მაგრამ მეცნიერებს და დამპროექტებლებს სამართლიანად აკრიტიკებენ მკვეთრად პლენუმზე. საქმე უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ პროექტებს ყოველთვის როდი ასრულებენ მაღალ დონეზე, ხოლო მათში მოცემული მეცნიერული მონაცემები ხშირად საკმაოდ სარწყნენო როდი.

ესმის რა თავისი პასუხისმგებლობა, მოსკოვის პარტიული ორგანიზაცია სწორ დასკვნებს გამოიტანს ამ კრიტიკიდან, განაცხადა ამხ. ეგორიჩევმა.

სინთეზური მასალების ნაწარმზე საბალხო მეურნეობისა და მოსკოვის მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის, განაგრძობს ორატორი, ჩვენში იქმნება ქიმიური მასალების გადამუშავების დიდი საწარმოები და საამქროები, ხორცეულდება მრეწველობისა და ქალაქის მეურნეობის ყველა დარგის ფართო ქიმიზაცია. მომდინარე წელს მოსკოვში ქიმიური ბოკოვების გამოყენებით გამოუშვებენ ზალის ქსოვილების 86 პროცენტს, მთელ ბრეშუმის ქსოვილებს, ბამბის ქსოვილების 15 პროცენტს. ეს საშუალებას გვაძლევს მნიშვნელოვნად შეგამციროთ შეკერილი ნაწარმის ღირებულება. გასულ წელთან შედარებით 1963 წელს გაყიდული მამაკაცის კოსტუმების საშუალო საცალო ფასი შემცირდა 18,5 პროცენტით, მამაკაცის პალტოსი — 20,2 პროცენტით, ქალის კაბებისა — 20 პროცენტით, ქალის პალტოსი —27 პროცენტით. ამავე დროს უმჯობესდება ნაწარმის ხარისხი.

დედაქალაქის კომუნისტების 640 ათასიანი არმია, ერთიანი და მტკიცედ დარაზმული ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, სავსებით უჭერს მხარს და აქტიურად იბრძვის ჩვენი პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის, განაცხადა ამხ. ეგორიჩევმა. იგი პირობას აღლენს პლენუმს, რომ მოსკოვის პარტიული ორგანიზაცია კვლავაც იქნება ცენტრალური კომიტეტის საიმედო დასაყრდენი, მთელ თავის ძალებს დარაზმავს პარტიის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, ჩვენს ქვეყანაში ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარებისათვის.

— ჩვენთან უზბეკეთში — „თეთრი ოქროს“ რესპუბლიკაში — იცვამ ქიმიის ნამდვილი ფასი, მისი მძლავრი ძალა, ამბობს ორატორი. — იგი ერთგულად ემსახურება მებამბეებს უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში.

ადვილი როდი იყო მიმდინარე წელი უზბეკეთის მეწამბოქმედთათვის. მაგრამ რესპუბლიკის მშრომელებმა დაუპირისპირეს ბუნების სტიქიურ ძალებს მაღალი ორგანიზებულობა, გაზრდილი ოსტატობა, დაუცხრომელი მისწრაფება გამარჯვებისაკენ და მოიგეს საყოველთაო სახალხო ბრძოლა ბამბისათვის. საშობლომ მიიღო 3 მილიონ 670 ათასი ტონა ბამბა.

ამ ბრძოლაში ბამბისათვის კომპლექსურ მექანიზაციასთან ერთად დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქიმიამ. მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა უნარიანი გამოყენების მაგალითი, დიდი ოსტატობისა და შრომითი გმირობის ნიმუში გვიჩვენეს უძველესი და მარად ახალგაზრდა ხორეზმის მებამბეებმა. მათ მოიწიეს რეკორდული მოსავალი — 31 ცენტნერი ჰექტარზე. სახელოვანი საქმეებით გაანარეს სამშობლო უზბეკეთის სხვა ოლქების მშრომელებმაც.

ამხ. რაშიდოვი შემდეგ აღნიშნავს, თუ რა უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს მინდვრის გვარდიელებმა — მექანიზატორებმა, აღნიშნავს სოფლის სხვა მშრომელების წარმატებებს. მხვნელ-მთესველებმა სამშობლოს ჩააბარეს 19 მილიონამდე ფუთი მარცვალი — ორჯერ მეტი, ვიდრე გასულ წელს, ღირსეულად შეასრულეს სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მოყიდვის ვალდებულებანი.

ბამბა და მარცვალი ღვიძლი ძმები არიან, განაცხადა ორატორმა. — რესპუბლიკაში უკვე ხორცეულდება მარცვლეული მეურნეობის აღორძინების ფართო პროგრამა, მას საფუძვლად უდევს ნ. ს. ხრუშჩოვის კრასნოდარში გამოთქმული რეკომენდაციები. ეს პროგრამა ითვალისწინებს მარცვლის წარმოების გადიდებას 1964 წელს 115 მილიონ ფუთამდე, 1965 წელს — 160-180 და 1970 წელს— 400 მილიონ ფუთამდე, აქედან 100 მილიონ ფუთ ბრინჯს.

ნამდვილად ისტორიული მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას — მაქსიმალურად შევამცეროთ სოფლის მეურნეობის დამოკიდებულება ბუნების ჯირკვლოვნებაზე, მოვიყვანოთ გარანტირებული უხვი მოსავალი ამინდის ყოველგვარ პირობებში, ამბობს შემდეგ ამხ. რაშიდოვი. იგი ასახელებს ამ მიზნის მიღწევის მთავარ საშუალებებს: მიწების მორწყვის განუხრელი განვითარება, კომპლექსური ქიმიზაცია და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ქიმიზაცია.

მინერალური სასუქების წარმოება წლითიწლობით გაიზრდება უზბეკეთში. შვიდწლედის ბოლოს მათი წარმოება 2,5 მილიონ ტონას მიაღწევს, აქედან მნიშვნელოვან ნაწილს აზოტოვანი სასუქები შეადგენს.

განსაკუთრებით ფართო პერსპექტივები ეხსნება ქიმიური მრეწველობის სწრაფი განვითარებისა და მინერალური სასუქების წარმოების მკვეთრი გადიდებისათვის ბუნებრივი გაზის უდიდესი სადაფდების დამუშავებასთან დაკავშირებით, რესპუბლიკაში აღმოაჩინეს ოვრეთვე ნავთობისა და სხვა ქიმიური ნედლეულის დიდი მარაგი.

ამხ. რაშიდოვი აღნიშნავს, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებს უზბეკეთის პარტიული ორგანიზაცია ამ შესაძლებლობათა სრული გამოყენებისათვის. სიმძლავრეთა შემდგომი ამუშავება ჩირჩიკის ელექტროქიმიურ კომბინატში, ფერგანის აზოტოვანი სასუქის ქარხანაში, ნავოის კომბინატში, შესაძლებლობას მოგვცემს დამატებით მივიღოთ იმდენივე მიხერალური სასუქი, რამდენსაც ახლა აწარმოებს მთელი რესპუბლიკა. დიდი ყურადღება ექცევა კონცენტრირებული და რთული სასუქების წარმოების მოწესრიგებას.

უზბეკეთის პირობებში ქიმიური მრეწველობის განვითარების მთავარი მიმართულება უნდა გახდეს ბუნებრივი გაზის კომპლექსური გამოყენება.

თავის დროზე, განაგრძობს ორატორი, ჩვენ შეგეტანეთ წინადადება, რომ ახალი აზოტოვანი ქარხანა სამარყანდში განლაგდეს ერთ მოედანზე სუპერფოსფატის ქარხანასთან. აქ შეიძენება მივიღოთ ჩვენს ქვეყანაში ყველაზე იაფი ამიაკი, მაგრამ აზოტოვანი ქარხნის სუპერფოსფატის ქარხანასთან ერთად განლაგების საკითხი ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა, იმედი გვაქვს, რომ სახქიმხავთომკომიტეტი და სსრ კავშირის სახშენი მიიღებენ ჩვენს წინადადებას.

ამხ. რაშიდოვმა თქვა, რომ საჭიროა გავაფართოოთ შუამქმედებების წარმოება მოსავლის აღების წინ ბამბის დასამუშავებლად, აღნიშნა, რომ უზბეკეთში ამინდის განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობებია ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის.

უზბეკეთს შეუძლია და უნდა გახდეს კიდევ ერთ ქიმიის რესპუბლიკა.

საბჭოთა უზბეკეთის მშრომელები სსრ კავშირის მოძმე ხალხების ერთსულოვან მრავალეროვან ოჯახში, ამბობს ორატორი, კვლავაც თავდადებით იშრომებენ მშობლიური პარტიის ხელმძღვანელობისათვის, ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის შენებლობის დიად საქმეში.

სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის ღონისძიებანი, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ შეიმუშავეს, უდიდესი ამაყოფილების გრძნობას იწვევს, თქვა თავის გამოსვლაში საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **ა. კ. ლუკიანენკომ.** მე, როგორც ხორბლის სელექციის სპეციალისტს, განსაკუთრებით მახარებს, რომ ჩვენი მიწათმოქმედების ისტორიაში პირველად ფართოდ იქნება გამოყენებული მიხერალური სასუქები მარცვლეული კულტურებისთვისაც. ეს მათი, და განსაკუთრებით ისეთი ძირითადი პურეული კულტურის, როგორიც საშემოდგომო ხორბალია, მოსავლიანობის ზრდის უმაგალითო პერსპექტივებს სახავს.

ახლა, როცა განიხილება სასუქთა უაღრესად ეფექტიანი გამოყენების საშუალებანი, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი ჯიშების დანერგვას, რომლებიც უკეთ ეგუებიან სასუქს. ყველაზე უკეთ ეგუება სასუქს ისეთი ჯიშის საშემოდგომო ხორბალი, როგორიც არის „უფა-1“. ცდების დროს, რაც მოეწყო კრასნოდარის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში, როცა შეეიტანეთ მიხერალური სასუქების სრული ნორმა და გაზაფხულზე სასუქად გამოვიყენეთ აზოტი, ამ ხორბალმა მოგვცა მოსავლის მატება 18,9 ცენტნერი ჰექტარზე, ხოლო მოსავალი იყო 62,1 ცენტნერი. ასეთი ჯიშის ხორბლის დათესვის შედეგად, რომელიც სასუქს ეგუება, შეიძლება ერთიორად გავადიდოთ მოსავლის მატება.

საშუხაროდ, ამბობს ორატორი, უკანასკნელ ხანამდე ასეთი ჯიშების სელექციას ჩვენში ცოტა ყურადღება ეთმობოდა და ამიტომ ყველა კულტურასა და ყველა ზონაში როდი არის ასეთი ჯიშები. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ ზონებში, სადაც ფართოდ იქნება გამოყენებული სასუქები, გაიშალოს სასელექციო მუშაობა ახალი მაღალპროდუქტიული ჯიშების მარცვლეული კულტურების გამოყვანისათვის.

იმ რაიონების რიცხვს, სადაც სასუქის შეტანის შედეგად შეგვიძლია მეტი ანაზღაურება მივიღოთ, მიეკუთვნება ჩრდილოეთ კავკასიის სამარილი ტენიანობის ზონა. მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ყუბანის პირობებში უაღრესად ეფექტიანია აზოტიანი სასუქები, ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქების დოზის გადიდება არ ზრდის ან ძალიან სუსტად ზრდის მოსავალს. ამიტომ არ შეიძლება დავეთანხმოთ ზოგიერთი მეცნიერის აზრს, სამხრეთის შავმიწანიადაგები აზოტიან სასუქებს არ საჭიროებენო. აქ აუცილებელია როგორც მინიმუმი შეეტანოთ 5-6 ცენტნერი სასუქი ჰექტარზე, ამასთან ნახევარი აზოტიანი უნდა იყოს.

შემდეგ პ. პ. ლუკიანენკო ამბობს, რომ საჭიროა დროზე შეეტანოთ მინერალური სასუქები მხარის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, და განსაკუთრებით აზოტიანი სასუქები საშემოდგომო კულტურების საადრეო-საგაზაფხულო გამოკვებისათვის. მან აღნიშნა აგრეთვე, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს დიდმწარმოებელი სასუქის მოსაბნევი მანქანების წარმოების ორგანიზაციას. ასეთი მანქანები შესაძლებლობას მოგვცემს მოკლე ვადებში შეეტანოთ სასუქები ნიადაგში.

მეცნიერი შეეხო საშემოდგომო ხორბლის „უფხო-1“ მოყვანას სარწყავ ნაკვეთებზე, სადაც იგი იძლევა 70 და 80 ცენტნერ მოსავალსაც კი ჰექტარზე, და მისი რჩევაა, რომ ასეთ ნაკვეთებზე საბრძოლა შინაგანი რეზერვების გამოვლენებისა და გამოყენებისათვის.

[illegible] ბრძოლა [illegible] ბრძოლა [illegible] ბრძოლა [

ისტორიული პლენუმი

უცხოეთის პრესა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, „42 მილიარდი მანეთი კაპიტალური დაბანდება ქიმიურ მრეწველობაში. ნ. ს. ხრუშჩოვის ღირსშესანიშნავი სიტყვა“ — ასეთი სათაურით ბეჭდავს გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ ცნობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ. გაზეთის მოპკავს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის შინაარსი, განსაკუთრებით გამოყოფს იმ ადგილებს, სადაც იგი ეხება ვრანდიოზულ საქმეებს საბჭოთა კავშირის ცხოვრებაში და ქიმიური მრეწველობის განვითარების პერსპექტივებს. ანგარიშს პლენუმის მუშაობის შესახებ და ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის შინაარსს ბეჭდავენ აგრეთვე „ბერლინერ ციტუნგი“, „ტრიბუნა“, „ნაციონალ-ციტუნგი“ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა გაზეთები.

ჩეხოსლოვაკია. „ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარება სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების მთავარი პირობაა“, „ქიმიური წარმოება სსრ კავშირში უმაგალითო ტემპით ვითარდება“ — მსგავი შრიფტით აწყობილი ასეთი სათაურებით ბეჭდავენ პრაღის გაზეთები ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების შინაარსს პლენუმზე. „რუდე პრავო“ ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირს აქვს მატერიალური წანამძღვრები. რომ ქიმიის დარგში პირველი ადგილი დაიკავოს მსოფლიოში.

საფრანგეთი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს, რომელიც მოსკოვში გაიხსნა, საფრანგეთში შეხვდნენ როგორც მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენას.

ნ. ს. ხრუშჩოვმა, წერს საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ორგანო გაზეთი „პოპულერ დე პარი“, ცხადყო, რომ ბრძოლა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის „ილებს ცხოვრების უფრო მაღალი დონისა და ბედნიერებისათვის შეჯიბრების ფორმას... მთელი მისი პოლიტიკა გამსჭვალულია მშვიდობიანი შეჯიბრების იდეით... შეჯიბრება დაიწყო სოფლის მეურნეობის დარგშიც, სადაც მეტოქეობა ყოველთვის მხოლოდ მშვიდობიანი იყო“.

ინდოეთი. „ეროვნული ინტერესით შეხდა ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების ის ადგილს, სადაც იგი ამბობს, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის თავისი ქიმიური მრეწველობისათვის მოწყობილობა შეუკვეთოს და შეისყიდოს საზღვარგარეთ ურთიერთსასარგებლო და ურთიერთ მისაღები პირობებით.

ამერიკის შეერთებული შტატები. ვაშინგტონის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. გაზეთები „სტარი“ და „ნიუსს“ ბეჭდავენ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების დაწვრილებით შინაარსს. უახლოესი 7 წლის განმავლობაში, ხაზგასმით აღნიშნავენ გაზეთები, საბჭოთა კავშირი ერთისამად და მეტად გაადიდებს ქიმიური პროდუქტების წარმოებას, აშენებს დახლოებით 200 ახალ ქიმიურ საწარმოს და განახორციელებს 500-ზე მეტი მოქმედი ქიმიური საწარმოს მოდერნიზაციას.

წარსულისაგან განსხვავებით, როცა ამერიკის პრესა თავს ნებას აძლევდა „ეჭვი“ გამოეთქვა იმის გამო განხორციელდება თუ არა საბჭოთა ეკონომიური გეგმები, ამჯერად გაზეთებმა უყოყმანოდ მიიღეს ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ ჩამოყალიბებული ქიმიური მრეწველობის განვითარების დიდებული პროგრამა. ცხოვრებამ ასწავლა მათ პატივი სცეს საბჭოთა გეგმებს, მიიჩნიონ ისინი ხვალინდელი დღის ცოცხალ რეალობად.

კანადა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობა უდიდეს ყურადღებას იპყრობს კანადაში. რადიომ და საელევიზიო სადგურებმა რამდენჯერმე გადასცეს ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების მოკლე შინაარსი. „რუსეთი, — ხაზს უსვამს გაზეთი „ოტავა ჯორნელი“, —გეგმავს, რომ შვიდი წლის განმავლობაში გაასამკეცოს ქიმიური პროდუქციის წარმოების საერთო მოცულობა, რათა გაადიდოს მოსავლიანობა სოფლის მეურნეობაში და უზრუნველყოს მილიონობით საბჭოთა ადამიანის უკეთესი ცხოვრება“.

იაპონია. „გრანდიოზული გეგმები“, „უახლოეს შვიდ წელიწადში ქიმიური პროდუქციის წარმოება საბჭოთა კავშირში ერთისამად და მეტად გაიზრდება“, „ქიმიური მრეწველობის განვითარება მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის“ — იაპონიის ყველა გაზეთი ასეთი სათაურებით ბეჭდავს ცნობებს პლენუმის გახსნის შესახებ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების შინაარსს.

ბულგარეთი. ყველა ცენტრალურმა გაზეთმა დაბეჭდა დაწვრილებითი შინაარსი ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა პლენუმზე. „ოტენჩესტვენ ფრონტი“ ხაზს უსვამს ქიმიურ მრეწველობაში საბჭოთა კაპიტალური დაბანდების უდიდეს მასშტაბსა და სოფლის მეურნეობის ქიმიზაციას. „ტრუდი“ აღნიშნავს, რომ რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სამეურნეო მშენებლობა, ეკონომიკა კომუნიზმისათვის ბრძოლის მთავარი ასპარეზია. „ზემედელსკო ზნამე“ მსგავი შრიფტით გამოპყოფს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს, რომ თანამედროვე პირობებში ბრძოლა კომუნიზმის ეკონომიური ბაზის შექმნისათვის სსრ კავშირში და სოციალისტური ეკონომიკის მშენებლობა სოციალიზმის სხვა ქვეყნებში საერთაშორისო ასპარეზზე კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი ფორმაა.

უნგრეთი. „კომუნიზმი არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია და სახალხო მეურნეობის ქიმიზაცია“. — ასეთი სათაურით დაბეჭდა გაზეთმა „ნეფსაბადშაგმა“ ცნობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ და ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების შინაარსი, მოხსენების ტექსტში გაზეთი ხაზს უსვამს იმ ადგილებს, სადაც ლაპარაკია საბჭოთა კავშირის უდიდეს წარმატებებზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში. პლენუმის შესახებ მასალებს ბეჭდავენ აგრეთვე უნგრეთის სხვა ცენტრალური გაზეთები.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზოგადოებრიობა და პრესა არაჩვეულებრივად დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობს. ბევრმა დიდმა გაზეთმა მოსკოვიდან მიღებული ინფორმაცია დაბეჭდა ყველაზე თვალსაჩინო ადგილას. კონსერვატიული გაზეთი „რაინიშე პოსტი“, კერძოდ, ხაზს უსვამს, რომ მოსკოვში ამუშავებენ „ვიგანტურ გეგმებს ქიმიის დარგში“, და მოპკავს შინაარსი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლისა პლენუმზე.

გაზეთმა „ნოიე რაინ-ციტუნგმა“ დაბეჭდა კომენტარები, რომლის ავტორიც იმუშებულია აღიაროს, რომ გრანდიოზულია ახალი საბჭოთა გეგმები ქიმიის განვითარების დარგში. კომენტარებში სათაურით „კოლოსალურია“ აღნიშნულია: ნიკიტა ხრუშჩოვმა ჩამოაყალიბა ქიმიური ინდუსტრიის განვითარების დიადი გეგმა.

ქიმიური მრეწველობის განვითარების გეგმას, რომელსაც პლენუმი განიხილავს, გაზეთ „ფრანკფურტერ რუნდშაუს“ მოსკოველი კორესპონდენტი ადარებს რუსეთის ელექტროფიკაციის დიად ლენინურ გეგმას. (საკადესი).

გულთბილი შეხვედრები ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 11 დეკემბერი. საკადესის კორესპონდენტი **ი. მასლენიკოვი** იუწყება: ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის 20 წლისთავის დღესასწაული ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში გადაიქცა საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხთა ძმური მეგობრობის, ურღვევი ერთობისა და შეკავშირების მკაფიო დემონსტრაციად.

განსაკუთრებული გულითადობით, როგორც ღვიძლ ძმებს ეგებება ჩეხოსლოვაკიელი ხალხი საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს — სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით, რომელიც ჩეხოსლოვაკიაში ჩამოვიდა ხელშეკრულების 20 წლისთავის დღესასწაულზე. დღეს დილით დელეგაციამ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით პატივი სცა ფაშისტი ოკუპანტებისაგან ჩეხოსლოვაკიის გასთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპული საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი მეომრების ხსოვნას. დელეგაციამ ოლშანის სასაფლაზე, სადაც დაკრძალული არიან დიდი სამამულო ომის საბჭოთა გმირები, მიიტანა გვირგვინი, რომელზეც წარწერილია: „სამარადისო დიდება საბჭოთა არმიის მეომრებს, რომლებიც დაიღუპნენ საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხების თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლებში. საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციისაგან“.

სსრ კავშირის დელეგაციას თან ახლდნენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, მთავრობის თავმჯდომარე იოზეფ ლენარტი და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი მოღვაწეები.

შემდეგ საბჭოთა დელეგაციამ გვირგვინით შეამკო უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

ა. ნოვოტნის მიწვევით საბჭოთა დელეგაციამ მოგვიანებით დათვალიერა პიონერთა სასახლე, რომელიც მიმდინარე წელს გაიხსნა პრაღის კრემლში. დედაქალაქის პიონერები და მოსწავლეები გულითადად მიესალმნენ ლ. ი. ბრეჟნევს, ა. ნოვოტნის, უჩვენეს მათ თავიანთი საუცხოო სასახლის დარბაზები.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

პრაღა, 11 დეკემბერი. (საკადესი). ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანტონინ ნოვოტნიმ, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ეროვნული ფრონტის ცენტრალურმა კომიტეტმა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ დღეს გამართეს სადილი საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი. სადილზე იყვნენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები და პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატები, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები, ჩეხოსლოვაკიის მთავრობის წევრები, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები.

სადილმა განსაკუთრებული გულითადობისა და ძმური მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა.

სადილის დროს ამხანაგებმა ა. ნოვოტნიმ და ლ. ი. ბრეჟნევმა წარმოთქვეს ბაღთბილი, მეგობრული სადღეგრძელოები, რომლებშიც ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულებამ კარგი სამსახური გაუწია მშვიდობის საქმეს, ჩვენს ქვეყნებში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის საქმეს. მათ აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის, ჩვენი ხალხებისა და ორი ქვეყნის პარტიების განუწყვეტლივ მზარდი მეგობრობის განვითარებისათვის, მეგობრობის, რომელიც სოციალისტურ თანამეგობრობის ქვეყნების დიადი ერთობის ერთ-ერთი რგოლია.

მოლაპარაკება გონში

გონი, 10 დეკემბერი. (საკადესი). აქ დამთავრდა ინგლის-დასავლეთ გერმანიის მოლაპარაკება. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ბატლერი, რომელიც ვიზიტად იმყოფება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, შეხვდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტ ლუბკეს, კანცლერ ერჰარდს, საგარეო საქმეთა მინისტრ შროედერს და სხვებს.

საბჭოთა კოსმონავტები სამეოგლოში დაბრუნდნენ

ტაშკენტი, 11 დეკემბერი. (საკადესი). საბჭოთა კოსმონავტი მფრინავები — ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვა, ანდრიან ნიკოლაევი და ვალერი ბიკოვსკი მეუღლეურთ დღეს საბჭოთა კავშირში დაბრუნდნენ. მათ ხანგრძლივად იმოგზაურეს აზიის ქვეყნებში.

საბჭოთა და ფრანგი მეცნიერები ანტარქტიდაში მაეემგზავრნენ

პარიზი, 9 დეკემბერი. (საკადესი). ხუთი ფრანგი მეცნიერი მონაწილეობს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის გაერთიანებულ ანტარქტიკულ ექსპედიციაში, რომელიც გუშინ გაემგზავრა თბომავალ „ეხტონეთით“ საფრანგეთის ჰავრის ნავსადგურიდან. საბჭოთა კოლეგებთან, მე-9 ანტარქტიკული ექსპედიციის წევრებთან ერთად, ისინი ჩავლენ სადგურ „აღმოსავლეთში“, რომელიც მდებარეობს ანტარქტიდის „ყინულოვანი გუმბათის“ თითქმის ცენტრში. აქ ისინი შეისწავლიან ყინულთა წარმოქმნასა და მოძრაობას.

ერჰარდზე თავდასხმის მუქარა

ბონი, 9 დეკემბერი. (საკადესი). როგორც დპას საინფორმაციო იუწყება, გუშინ ტელეფონით დარეკა უცნობმა პირმა და განაცხადა, რომ თუ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ერჰარდმა არ დაიკმაყოფილა ომ პირთა მოთხოვნები, რომლებიც ომისაგან დაზარალდნენ და სამშობლოში დაბრუნდნენ, მას თავს დაესხმიან.

ამის შემდეგ დაუყოვნებლივ მიიღეს ერჰარდის უსაფრთხოების უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიებანი.

იკედა კვლავ აირჩიეს პრემიერ-მინისტრად

ტოკიო, (საკადესი). 9 დეკემბერს პარლამენტის ქვედა პალატის პლენარულ სხდომაზე იკედა კვლავ აირჩიეს იაპონიის პრემიერ-მინისტრად. არჩევნების შემდეგ იგი შეუდგა კაბინეტის შექმნას, რომლის შემადგენლობაც გამოცხადდება საღამოს.

ფაილანდში მოგზაური ამგზავნის მამა

ლონდონი. (საკადესი). როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, ბანგკოკის სამხედრო ჰოსპიტალში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ტაილანდის პრემიერ-მინისტრი მარშალი სარიტ ტანარატი.

ნიუ-იორკი, 8 დეკემბერი. (საკადესი). ტაილანდის თავდაცვის მინისტრმა ტანომ კოტიკაჩორნმა პრემიერ-მინისტრს სარიტ ტანარატს სიკვდილის შემდეგ იკისრა ტაილანდის პრემიერ-მინისტრის მოვალეობა. როგორც იუწყებიან, პრეს ინტერნეიშნლი იუწყება ბანგკოკიდან, პრემიერ-მინისტრის სიკვდილის ცნობის გამოქვეყნების შემდეგ კიტიკაჩორნმა დაუყოვნებლივ გამოსცა ბრძანება ტაილანდის ყველა ჯარის ნაწილის საბრძოლო მზადყოფნის შესახებ. ჰოსპიტალს, რომელშიც მკურნალობდა და გარდაიცვალა სარიტ ტანადარტი, გაძლიერებით იცავენ ჯარის ნაწილები.

საავიაციო კატასტროფა

ნიუ-იორკი, 9 დეკემბერი. (საკადესი), გუშინ ქალაქ ელკტონის (მერილენდის შტატი) მახლობლად დაიმსხვრა სამგზავრო თვითმფრინავი ბოინგ-707, რომელიც „პან-ამერიკენის“ ავიაკომპანიას ეკუთვნოდა. როგორც იუწყებიან, თვითმფრინავში იყო 74 მგზავრი და ეკიპაჟი 8 კაცის შემადგენლობით.

თავდასხმა ადენში

ლონდონი, 10 დეკემბერი. (საკადესი). დღეს ადენის აეროდრომზე ხელის გრანატა ესროლეს იმ პირთა ჯგუფს, რომელშიც შედიოდნენ ადენის რამდენიმე მინისტრი და ინგლისელი მოხელეები უმაღლესი კომისრის ტრევასკისის მეთაურობით.

როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, აფეთქების შედეგად დაიჭრა 30-ზე მეტი კაცი.

ეს პირნი ლონდონს მიემგზავრებოდნენ, რათა მოლაპარაკება ეწარმოებინათ ერთა თანამეგობრობისა და ინგლისის კოლონიათა მინისტრ სენდისთან ადენის შემდეგი საყოველთაო არჩევნების შესახებ.

ავრიკის ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები

ზანზიბარი

ზანზიბარი, 10 დეკემბერი. (საკადესი). ზანზიბარის სასულთნო გამოაცხადეს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

9 დეკემბერს შუადამისას ბეით-ელ-აჰაიბის (სასწაულთა სახლის) დროშის ეოკიდან ჩამოუშვეს ინგლისის ალამი. ამ ვეებერთელა, თავისებურ შენობაში, სადაც წინათ დიდი ამბით იმართებოდა

საკეფო კარის ცერემონიები, ახლა მოთავადა ზანზიბარის მთავრობა. საზეიმო ვითარებაში აფრიალდა დამოუკიდებელი ზანზიბარის ეროვნული ალამი — წითელი ქსოვილი, რომელშეც გამოსახულია ორი მახვილი მწვანე წრეში. ათეულ ათასობით ზანზიბარელი — დედაქალაქისა და გარეუბნების მცხოვრებნი შეიკრიბნენ ამ დროს ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, რათა დასწრებოდნენ ცერემონიას, რომელზეც მათი ქვეყანა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადეს.

კენია

1963 წლის 12 დეკემბერს აფრიკაში შეიქმნება კიდევ ერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო — კენია, რომლის სახელწოდება კენიის მთისაგან წარმოიშვა, რაც ქართულად „თეთრ მთას“ ნიშნავს.

კენია აღრარული ქვეყანაა. საუკეთესო ნაყოფიერი მიწები ევროპელ პლანტატორებს ეკუთვნით, რის გამოც ამ ქვეყანაში მეტად მწვავედ დგას მიწის საკითხი.

ფართო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც მთელი აფრიკის კონტინენტზე გაიშალა, კენიასაც მოედო. კენიის ხალხის შეუპოვარმა ბრძოლამ, რომელსაც სათავეში ჩაუდგა კენიის ორი უდიდესი პარტია — კენიის აფრიკელთა ეროვნული კავშირი კენიელი ხალხის ბელადის ჯომო კენიატას ხელმძღვანელობით და კენიის აფრიკელთა დემოკრატიული კავშირი — აიძულა ინგლისელი კოლონიზატორები 1963 წლის თებერვალში დათანხმებულიყვნენ კენიაში აფრიკელთა თვითმმართველობის შექმნაზე და დაენიშნათ ამ ქვეყანისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების თარიღი.

1963 წლის მაისში მოეწყო კენიის პარლამენტის არჩევნები. არჩევნებში გაიმარჯვა კენიის აფრიკელთა ეროვნული კავშირის პარტიამ, რომელმაც შეადგინა მთავრობა კენიატას მეთაურობით.

კენიის დამოუკიდებლობის გამოცხადებით ბოლო მოეღო ინგლისის კოლონიურ ბატონობას აღმოსავლეთ აფრიკაში.

საიდუმლოებას ფარდა ეხდება

გამოძიების ფედერალური ბიუროს მოხსენება გადაეცა პრეზიდენტის კომისიას

ნიუ-იორკი, 10 დეკემბერი. (საკადესი). იუსტიციის სამინისტრომ პრეზიდენტის სპეციალურ კომისიას, რომელსაც ე. ჟორენი თავჯდომარეობს, გადასცა გამოძიების ფედერალური ბიუროს მოხსენება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კენედის მკვლელობის გარემოებათა შესახებ, რაც 22 ნოემბრის მოხდა დალასში. ჟორენის თხოვნით მოხსენების შინაარსი საიდუმლოდ იქნება დაცული, სანამ მას არ გაეცნობა კომისიის ყველა წევრი.

როგორც ამერიკის საინფორმაციო საგენტოები აღნიშნავენ, მოხსენება არ ეუბნება „არავითარ ეჭვს“, რომ ლი ოსვალდი იყო პრეზიდენტ კენედის მკვლელი. საგენტოების ცნობით, გამოძიების ფედერალური ბიუროს წყაროებიდან შეიტყვეს, რომ კენედის მკვლელობა ბრალდება ოსვალდს, კერძოდ, შემდეგ სამხილთა საფუძველზე: ქაღალდს, რომელშიც გახვეული იყო შაშხანა, აჰრნეია ოსვალდის თითებს ანაბეჭდები. ქაღალდი იპოვეს ფანჯრასთან, საიდანაც ესროლეს პრეზიდენტს. შაშხანაზე აღმოჩენილია აგრეთვე ოსვალდის „ტანსაცმლის მიკროსკოპიული ნაწილაკები“.

როგორც საგენტოები იუწყებიან, მოხსენება შეიცავს დასკვნას, რომ ოსვალდსა და მის მკვლელს ჯეკ რუბის „არ ჰქონიათ პირი შეკრული“, „არ იცნობდნენ ერთიმეორეს“.

ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა გუშინ ერთხმად მოიწონა რეზოლუცია, რომელიც უადრესად ფართო რწმენებებს ანიჭებს პრეზიდენტ კენედის მკვლელობის გარემოებათა გამოძიების კომისიას, რომელსაც ჟორენი თავჯდომარეობს. ეს რეზოლუცია ახლა უნდა მოიწონოს წარმომადგენელთა პალატამ.

კენედის მკვლელობის გამოძიება

ნიუ-იორკი. (საკადესი). როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი ჯოზეფ ლოფტუსი დალასიდან იტყობინება, გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებმა, რომლებიც ცდილობდნენ გამოერკვიათ პრეზიდენტ კენედის მკვლელობის გარემოებანი, არაერთგზის მოაწყვეს ღია მაჩვენებელი მოგზაურობის ინსცენირება იმ გზაზე, რომელიც პრეზიდენტმა 22 ნოემბერს გაიარა. მეექვსე საათზე ფანჯარაში, საიდანაც, როგორც ამტკიცებენ, მკვლელმა ისროლა, დაყენებული იყო კინოკამერა.

ლოფტუსი ეხება ეაღრესად გამოუცნობ გარემობას — როგორ დაჭრეს პრეზიდენტი ყელში წინიდან, იმ დროს, როცა მანქანამ უკვე ჩაუარა შენობას, საიდანაც ისროდნენ. კორესპონდენტი პასუხს არ იძლევა ამ კითხვაზე, ვინაიდან, აღნიშნავს“ იგი, გამოძიების ფედერალურმა ბიუროომ ყველა მოწმეს აუკრძალა პრეზიდენტის მკვლელობისა გარემოებათა შესახებ ლაპარაკი.

ლოფტუსი წერს: „ერთი საკითხი ის არის, თუ როგორ მოხდა პრეზიდენტს შეიძლება ითქვას, რომ ტყვიის მოხვედრის ზუსტი კუთხე ყველაზე უკეთ იმ კაცმა იცის, ვინც პრეზიდენტი გაკვეთა. ეს არის შერილენდის შტატის ბეტესდის სამხედრო-საზღვაო ძალების სამედიცინო ცენტრის ექიმი დოქტორი ჯ. ჯ. ჰიუმი. მაგრამ დოქტორმა ჰიუმმა თქვა, რომ მას აუკრძალეს ამ თემაზე ლაპარაკი.

კერძო პირთა უმრავლესობა, რომელიც სიამოვნებით აწვდიდნენ ცნობებს კორესპონდენტებს, ეარს ამბობს შეგვატყობინოს რამე მას შემდეგ, რაც ისინი გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებმა დაკითხეს. ქალაქისა და დალასის ოლქის პოლიცია აგრეთვე ეარს ამბობს ბეატყობინოს რამე კორესპონდენტებს. პოლიციის ერთმა დიდი თანამდებობის მოხელემ განაცხადა, რომ იგი მოხარული იქნებოდა, კითხვებზე პასუხს გაცემა რომ შეეძლოს, „ვინაიდან ეს თავიდან აგვაცილებდა საკმაო დიდ შრომასო“.

რომი, 7 დეკემბერი. (საკადესი). გაზეთი „უნიტა“ იუწყება, რომ რამდენიმე დღის წინათ სამმა იტალიელმა ჟურნალისტმა დალასის პოლიციასთან თანამშრომლობით ალაგინა კენედის ცხედრის სცენა და ამისათვის გამოიყენა ქალაქის საუკეთესო მსროელი. „მათ დაადგინეს, რომ ექვსნახევარი წამი ძნელად თუ ეყოფა იმას, რომ როგორმე ესროლო მანქანას და რომ მოძრავ მიზანს მხოლოდ შემთხვევით თუ მოარტყამ“.

„უნიტა“ აღნიშნავს, რომ „ამ სამი ჟურნალისტიდან არც ერთი არ ამტკიცებს— თუმცა ეს აშკარად მტკიცდება მათივე ცდით — რომ ამ ადგილიდან შეუძლებელი იყო კენედის დაჭრა ყელში და კონელისა მეცელში და მაჯაში. რატომ არაფერს ამბობენ ისინი, ამის შესახებ? —კითხულობს გაზეთი.

ეს ჭეშმარიტება რომ აშკარად ეთქვათ, იგი თავისთავად დაამტკიცებდა, რომ ოსვალდს ან არ უსვრია, ან იგი მარტო არ ისროდა“.

ანგოლა ცეცხლშია

ანგოლელი ხალხი რომ დაიჩოქონ, ფაშისტი ჯალათის სალაზარის სადამსჯელო რაზმები მიმართავენ „გადაბუგული მიწის“ ტაქტიკას, ამასთან არ ინდობენ მშვიდობიან მოსახლეობას — მოხუცებს, ქალებს, ბავშვებს.

აი რას ამბობს პორტუგალიელი ექიმი მარიო მაუნტიხო პადუა, რომელსაც უნახავს სალაზარის ჯარების მხეცობა ანგოლაში: „ერთი კაპიტანი, რომლის შერქმეული სახელი „ეხმანი“ იყო, დაპატიმრებულ ანგოლელებს უბრძანებდა შეეჭამათ თავიანთი ძმების მოჭრილი ყურები, ცოცხლად ჩაემარხათ ისინი მიწაში. საწამებლად ჯალათები ხშირად იყენებენ ლითონის რკალებს, რომლებსაც კისერზე უკეთებენ თავიანთ მსხვერპლთ, შემდეგ კი შიგ ელექტროდენს ატარებენ“.

ყოველივე ეს ანგოლელებს აიძულებს მიატოვონ თავიანთი ქოხები და თავი შეაფარონ ჯუნგლებს ან აფრიკის სხვა ქვეყნებში ეძებონ თავშესაფარი.

* * *

სურათზე: ანგოლელ ლტოლვილთა ბავშვები.

საგენტო „ახალი ამბები“.

ზანზიბარის პრემიერ-მინისტრის განცხადება

ზანზიბარი, 10 დეკემბერი. (საკადესი). ზანზიბარის მთავრობის საშინაო პოლიტიკა, მიზნად ისახავს ამ ქვეყნის ეკონომიურ განვითარებასა და სოფლის მეურნეობის გაფართოებას, განაცხადა გუშინ პრემიერ-მინისტრმა მოჰამედ შამტე ჰამდიმ.

„შეეხო რა საგარეო პოლიტიკას, პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ ზანზიბარი დაინტერესებულია კარგი ურთიერთობა დაამყაროს სხვა ქვეყნებთან. „ჩვენ ამა ვართ რომელიმე ბანაკის წევრი, და ვიგლით საკუთარი გზით“, — განაცხადა მან.

ახლა ვამუშავებთ ეკონომიური განვითარების სამწლიან გეგმას, თქვა ჰამდიმ.

დ. რასკის გამოსვლა

ვაშინგტონი, 11 დეკემბერი. (საკადესი). გუშინ ქალაქ სესტ-პოლში (მინესოტის შტატი) ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დინ რასკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეერთებული შტატები ვერ უზრუნველყოფენ თავიანთ უმშიროებას, თუ უმშიროება არ იქნება მთელ მსოფლიოში.

„ჩვენს დროში, როცა შექმნილია საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები და თერმოატომური მუხტები, — თქვა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა, — შეგვიძლია დამშვიდებით ვიყოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სიმშვიდე იქნება ძალელ ჩვენს გარემოცვაში“. „მთელ ჩვენს გარემოცვად“, განმარტა რასკმა, შეერთებული შტატები ახლა გულისხმობენ არა მარტო დედამიწას, წყალსა და საჰაერო სივრცეს, არამედ მათ მომიჯნავე კოსმოსურ რაიონებსაც, რომლებიც იმდენად შორს არის გადაჭიმული, რამდენადაც შეუძლია ეს წარმოიდგინოს ადამიანმა.

რასკმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ გამონახონ სხვა ქვეყნებთან საერთო ინტერესების სფეროები — და განსაკუთრებით საყოველთაო ომის საფრთხის შემცირების გზები, და განაცხადა, რომ სულ ამ ცოტა ხნის წინათ მიღწეულ იქნა რამდენიმე ნაწილობრივი შეთანხმება საბჭოთა კავშირთან. ამ შეთანხმებებიდან მან დაასახელა შეთანხმება პირდაპირი სატელეტაიპო კავშირის დამყარების შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტსა და საბჭოთა მთავრობის მეთაურს შორის, ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ კოსმოსურ სივრცეში, ატმოსფეროში და წყალქვეშ. მან კმაყოფილებით აღნიშნა, რომ 100-ზე მეტმა მთავრობამ მოაწერა ხელი ამ ხელშეკრულებას.

საბჭოთა კავშირმა და შეერთებულმა შტატებმა, განაგრძო რასკმა, მხარი დაუჭირეს დეკლარაციას, რომელიც კრძალავს მასობრივი ხგრევის იარაღის გაყვანას ორბიტაზე, და მიაღწიეს ფართო შეთანხმებას იმ კანონების შესახებ, რომლებიც აწესრიგებენ კოსმოსური სივრცის გამოყენებას.

„ეს პატარა, მაგრამ სასარგებლო ნაბიჯებია მშვიდობის მმართველობით“, — თქვა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა. „პრეზიდენტ ჯონსონს, ისევე, როგორც პრეზიდენტ კენედის, — განაცხადა რასკმა, — მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი უადრესად გულწრფელად და მოთმინებით შეისწავლოს იმის ყოველი შესაძლებლობა, რომ მიღწეულ იქნეს შეთანხმებანი შემდგომ ღონისძიებათა შესახებ უფრო მტკიცე მშვიდობის უზრუნველსაყოფად“.

თავის სიტყვაში რასკმა გაიმეორა ანტიკომუნ

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

თეატრალური ქრონიკა

ბორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა „93 წელი", ვ. ჰიუგოს ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით.

ინსცენირების ავტორია ახალგაზრდა დრამატურგი რევაზ ურუშაძე, დადგმა განახორციელა ვაჟა ფაჩულიამ, მხატვრობა ეკუთვნის ი. მუნედლიშვილს.

ვ. ჰიუგოს „93 წელი" ქართული თეატრის სცენაზე პირველად განხორციელდა.

კ. მაკარიძე.

მაიაკოვსკი. სახალხო თეატრმა სეზონის მორიგ პრემიერად წარმოადგინა ლ. მილორავას სამმოქმედებიანი სატირული კომედია „მუდე კიბე". სპექტაკლი დადგა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ა. ქართველიშვილმა, მხატვრობა ეკუთვნის შ. ადამიას.

გ. მუსგანაძე.

„ვოლგა"—ლატარიის ბილეთით

გალის რაიონის სოფელ აჩიგბავრის მცხოვრებმა ა. თორუამ ოჩამჩირის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების მერვე გამოშვების ლატარიის ბილეთი № 193, სერია 21236, რომელსაც მოგებად ხვდა ავტომანქანა „ვოლგა".

მ. ჭოტუა.

ყვავილწნულების გამოფენა

სოხუმი. (საკ. კორ.). საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში მოეწყო ყვავილწნულების გამოფენა, რომელიც აქ ყოველწლიურად ეწყობა. ამ თაოსნობას საათავში უდგას ინსტიტუტის დეკორაციული მებაღეობის განყოფილება (კათედრის გამგე დოცენტი ა. კერესელიძე).

როცა ათვალიერებ გამოფენას, არ იცი, რომელ კუთხეს უფრო მიაქციო ყურადღება. ქრიზანთემები, ყაყაჩოები, ბაღის ვარდები... სასიამოვნო სურნელებას აფრქვევენ ირგვლივ.

გამოფენაზე წარმოდგენილია ყვავილებში გადაწყვეტილი კომპოზიციები — „ბუნების სიხარული", მიმზიდველად არის შესრულებული „ქართული სოფელი", „თანამედროვე თაახის ერთ-ერთი კუთხე", „მეგობრული კალათი", „საქანელა", „სარკე თაიგულითი", „გამრავლების სიმბოლო", „კუბის რევოლუციის ბელადი ფიდელ კასტრო გამარჯვების დროშით" და სხვ.

ეს საინტერესო ნამუშევრები შესრულებულია სტუდენტების ნ. წულაიას, ბ. ბაპასქუას, ნ. გუგუშვილის, რ. მოლაშვილის, ს. არღვიანის, მ. ჭანკვეტაძის, ი. იობიძის, გ. ბერულავას, ო. ჩხეიძის და სხვათა მიერ.

გამოფენა დამთვალიერებელთა დამსახურებული მოწონებით სარგებლობს.

ცისკენ...
ფოტოტიუდი ა. კულენკოვისა. სურათი წარმოდგენილია ფოტოკონკურსზე.

მიკვლეულია ახალი მანუსკრიპტები

საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტის მდიდარ ფონდში ინახება უძველესი მანუსკრიპტები. ისინი შეიცავენ ქრონიკებს, ფილოსოფიურ კომენტარებს, სამედიცინო და სამართლის ბრწყინვალე ძეგლებს.

უძველესი ქართული მანუსკრიპტების შესწავლა, ჩვენი დიდი წარსულის მემკვიდრეობის გამომზეურება და აღწერა ქართველ მეცნიერთა საპატიო საქმეა.

ამას წინათ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოეწყო ექსპედიცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობს ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ილია აბულაძე. ექსპედიციამ ბევრი საინტერესო ხელნაწერი აღწერა.

— მიმდინარე წელს, — განაცხადა ჩვენთან საუბარში პროფესორმა ილია აბულაძემ, — ორგზის მოეწყო ექსპედიცია ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში. როგორც ცნობილია, სამხრეთი საქართველო, კერძოდ, მესხეთ-ჯავახეთი, ქართული კულტურის აკვანია. მარტო ხერთვისი ციხე-კოშკის და ვარძიის კლდეში ნაკვეთი ქალაქის დასახლება რად ღირს. ჩვენ ახალციხის სამხარეთ მუზეუმის ფონდში მივაკვლიეთ მეტად საყურადღებო მასალებს.

ძველ ქართულ ხელნაწერთა შორის საგულისხმოა XI საუკუნის მიწურულის, ნუსხა-ხუცურით შესრულებული, გიორგი მთაწმინდელისეული რედაქციის თხზთავი, რომლის ანდერძში იხსენიება სვიმეონ აფხაზთა კათალიკოსი, აფხაზთა კათალიკოსების ხსენება ჩვეულებრივ XIII საუკუნიდან გვხვდება და ამ ხელნაწერის საშუალებით კი დასტურდება განსაკუთრებული მეცნიერის კორნელი კეკელიძის ჰიპოთეზა. ყურადღების ღირსია ძველი საქართველოში საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა სამედიცინო-სამკურნალო მეცნიერება. ჩვენი წინაპრები სამკურნალო მალამოებისა და წამლების დამზადების დიდი ოსტატები იყვნენ.

ჩვენი მოგზაურობის დროს მიკვლეულ მასალებს შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს XVI საუკუნის „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერის ფრაგმენტი, რომელიც ორი ფურცლისაგან შედგება და XIX საუკუნის ხელნაწერთა ყდაში იყო დატანებული. ფილიგრანის — ჭვირნიშნის მხარეს ქაღალდი, რომელზეც „ვეფხისტყაოსნის" რამდენიმე სტროფია დაწერილი, იტალიური უნდა იყოს და თარიღდება XVI საუკუნის მიწურულითა და XVII საუკუნის დამდეგით. პალეოგრაფიულად — ასოთა მოყვანილობის მიხედვით XVI საუკუნეს განეკუთვნება. ფრაგმენტი 24-მდე სტროფის ჩვენებათა თანახმად ახლოს დგას ხელნაწერთა დღემდე ცნობილ ერთ ჯგუფთან, რომელიც, გარდა ერთი ხელნაწერისა, XVII საუკუნის ნუსხებად მიიჩნევა. ახლადამოჩენილ ტექსტს მოკმოვება დანარჩენი ხელნაწერებისაგან განსხვავებული წაკითხვები, რომელთა შესწავლა დაგვმსგავრება „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დადგენაში და დროთა განმავლობაში გადამწერების მიერ დამახინჯებული სიტყვების დახვეწაში.

საინტერესო მასალებს მივაკვლიეთ ბათუმის სამხარეო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში. მუზეუმის კოლექცია შედგება ქართული, სომხური, თურქული და არაბული ხელნაწერებისაგან.

საყურადღებოა ერთ-ერთი სომხური ეკლესიის მანუსკრიპტი, რომელიც აღმშენებლობასა და ადგილობრივი მრევლის ყოფაცხოვრების საკითხებს შეეხება. ხელნაწერი თარიღდება XVIII საუკუნის მიწურულითა და XIX საუკუნის დამდეგით.

სამხრეთ საქართველოდან ჩვენ ზუგდიდში გავემგზავრეთ. აქ ადგილობრივ სამხარეთ მუზეუმს შესანიშნავი კოლექცია აქვს. აღსანიშნავია ზოგიერთი მათგანი. დიდი მოცულობის ხელნაწერია ეგრეთწოდებული „გულანი" საგულისხმო მინაწერებით, რომლებიც განეკუთვნება XVI-XVIII საუკუნეებს. თვით „გულანი" საეკლესიო ხასიათის ძეგლია.

ყველა ამ მასალას, ბუნებრივია, ძვირფასი მეცნიერული ღირებულება აქვს.

ნ. ჯაფარიძე.

ექსპოზიციის თემაა ჩვენი თანამედროვეობა

ახალქალაქის კულტურის სახლში მუშაობა დაიწყო საქართველოს მხატვართა ნამუშევრების რესპუბლიკურმა მოძრავმა გამოფენამ.

გამოფენაზე ექსპონირებულია 100-ზე მეტი ფერწერული, სკულპტურული და გრაფიკული ნაწარმოები, რომლებიც ასახავენ ჩვენს თანამედროვეობას.

მნახველები ინტერესით ათვალიერებენ სსრ კავშირის სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძის, საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის ლადო გუდიაშვილის, აპოლონ ქუთათელაძის, მოქანდაკეების — საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის ვ. თოფურიძის, თ. დვინიაშვილის და სხვათა ნამუშევრებს.

პირველ დღეს გამოფენა დაათვალიერა ახალქალაქის საწარმოო სამმართველოს 900-მდე მშრომელმა.

ა. დურგარიანი.

მ. გ. მაისურაძე

ერისთავი — ბიბლიოლოგი

ალექსანდრეში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" დირექტორი ბიბლიოლოგ-ბიბლიოგრაფი მ. მაისურაძე. დაიბადა 1918 წელს ქ. თბილისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც დაამთავრა 1945 წელს.

1937-43 წლებში მ. მაისურაძე მასწავლებლად მუშაობდა ბორჯომის რაიონის სოფელ წაღვერის, კასპის რაიონის სოფელ იგოეთისა და თბილისის საშუალო სკოლებში.

1943 წლიდან მ. მაისურაძე კომკავშირულ სამუშაოზეა. 1943-1944 წლებში მუშაობდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად, 1944 წელს კი მას ირჩევენ ქ. თბილისის ალკკ ორკონიკიძის რაიკომის მდივნად.

1945-46 წლებში მ. მაისურაძე მოსკოვის უმაღლესი პარტიული სკოლის მსმენელია. 1946 წელს კვლავ თბილისში ჩამოდის და მუშაობას იწყებს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სავეჭრო განყოფილების ინსტრუქტორად, ხოლო 1948 წელს ნიშნავენ ამავე განყოფილების გამგის მოადგილედ.

იმავე წელს მ. მაისურაძეს ირჩევენ საქართველოს კპ გორის რაიკომის მეორე მდივნად.

1951 წლიდან 1958 წლამდე მ. მაისურაძე იყო საქართველოს კპ თეთრი წყაროს რაიკომის პირველი მდივანი.

1958 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" დირექტორად.

მ. მაისურაძე სხვადასხვა დროს არჩეული იყო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

მ. მაისურაძე დაჯილდოებული იყო მთავრობის ჯილდოებით — შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლით „შრომითი მამაცობისათვის" და სხვ.

ყოველ უბანზე, სადაც კი მიხეილ მაისურაძეს უხდებოდა მუშაობა, იგი იჩენდა კომუნისტური პარტიის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულებას და პირნათლად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას.

ჩვენი პარტიის ერთგული შვილის, პრინციპული, უნარიანი ორგანიზატორის, ენერგიული მუშაკისა და გულისხმიერი ამხანაგის მ. მაისურაძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ესტაფეტა

10 დეკემბერს თბილისის სპორტის სასახლე დათმობილი ჰქონდა რინგს. აქ შედგა საერთაშორისო მატჩი კრივში სსრ კავშირისა და ინგლისის ნაკრებ გუნდებს შორის.

პირველად რინგზე გამოვიდნენ უმაჯესი წონის მოკრივეები მ. მუხა (სსრ კავშირი) და მ. ლოუდი (ინგლისი). სამიე რაუნდში (რაუნდი 3 წუთი) იგრძნობოდა საბჭოთა სპორტსმენის უპირატესობა. მსაჯებმა გამარჯვება ერთხმად მუხას მიანიჭეს.

მაყურებლები ინტერესით მოელოდნენ ნ. ქიქავასა და ინგლისელ ჯ. აიზეკის შეხვედრას. ქიქავას აქტიური ბრძოლა ბოლომდე არ შეუნელებია და ჩვენს გუნდს გამარჯვება მოუტანა.

მრავალფეროვანი და მიმზიდველი აღმოჩნდა მომდევნო ორი წყვილის გამოსვლა. უ. ლოუდის ყოველგვარი ცდა — თავი დაეღწია ვ. მოსკოვკინის კონტრიერიშებისაგან — უშედეგო გამოდგა და დამარცხდა. ინგლისის ექს-ჩემპიონმა ვ. უილსონმა მძაფრ პაექრობაში წაადგა შეხვედრა ლ. გონჩაროვთან. ე. ფროლოვმა სძლია ლ. ო' კონელის, რ. ტამულისს მოწინააღმდეგის გამოუცხადებლობის გამო გამარჯვება ჩაეთვალა.

სსრ კავშირი—ინგლისი 10:0

შესვენებისათვის ანგარიში უკვე 6:0 იყო. ამის შემდეგ რინგზე გამოვიდნენ პირველი საშუალო, მეორე საშუალო, ქვემძიმე და მძიმე წონის მოკრივეები. მ. ზუბულაშვილმა დაამარცხა ს. პიროონი, მ. მამამთავარიშვილმა — ს. ლონხერსტი. ვ. ნოვიჩკოვმა — ი. ლოზერი, ვ. სელეზნიო